საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 207. 10. 12. 2019 წ. თბილისი

სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რიგით №84 სხდომის მოწვევის თარიღის გადატანის შესახებ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდების (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 18 იანვრის №542 გადაწყვეტილებით) მე-9 მუხლის 9.2 "თ" ქვეპუნქტის, 9.3 პუნქტისა და 8.5, 8.7, 8.11, 8.14 პუნქტების, აგრეთვე სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რეგლამენტის მე-2 მუხლის 2.2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რიგით №84 სხდომა 2019 წლის 14 დეკემბრის ნაცვლად ჩატარდეს 2019 წლის 21 დეკემბერს;
2. სხდომა გაიმართოს სპმთპ-ის წყნეთის პედაგოგთა და მეცნიერთა სახლში, 2019 წლის 21 დეკემბერს, სპმთპ-ის საბჭოს წევრთა რეგისტრაცია დაიწყოს 11:00 საათზე და სხდომა გაიმართოს 12:00 საათზე;
3. დაევალოს სპმთპ-ის საორგანიზაციო დეპარტამენტს(მაია ესებუა) სპმთპ-ის 2019 წლის 21 დეკემბრის აღმასრულებელი საბჭოს რიგით №84 სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა;
4. დაევალოს სპმთპ-ის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს, მარინა ალუღიშვილს, სპმთპ-ის ვიცე-პრეზიდენტს საფინანსო დარგში, ნათია კორძაძეს და სპმთპ-ის ცენტრალური აპარატის შესაბამის დეპარტამენტებს მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დადგენილებათა პროექტების მომზადება;
5. დაევალოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს (მელანია დარახველიძე) აღმასრულებელი საბჭოს რიგით №84 სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოყოფა უზრუნველყოს სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული სპმთპ-ის 2019 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლიდან (აღმასრულებელი საბჭოს სხდომის მომზადება-ჩატარება);

6. დაევალოს სპმთპ-ის კანცელარიის უფროსს (ქეთევან ვადაჭკორია) უზრუნველყოს აღმასრულებელი საბჭოს წევრთა გაფრთხილება და ბრძანებისა და დღის წესრიგის პროექტის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ.

სპმთპ-ის პრეზიდენტი **მაია კობახიძე**